

ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალისთვის სტატიის მომზადებისა და სარედაქციო საბჭოსათვის გადაგზავნის წესი

1. ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალის მიზანი.

ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალი წარმოადგენს სკოლის ასაკის მკითხველზე მორგებულ სამეცნიერო სტილის ჟურნალს. რომლის მთავარი ამოცანებია: სკოლის მოსწავლეებში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართ ინტერესისა და ცნობიერების ამაღლება, კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარება, მოსწავლეების წახალისება სამეცნიერო კვლევებში ჩასართავად და საბაზისო სამეცნიერო ცოდნის მისაღებად.

2. სტატიის ავტორობის შესაძლებლობა.

ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალში გამოქვეყნებული სტატიის ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ სკოლის მოსწავლე/მოსწავლეები. ეთი სტატიის ავტორები შეიძლება იყვნენ სხვადასხვა კლასის ან სხვადასხვა სკოლის მოსწავლეები. სტატიაში ავტორების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

3. ჟურნალის სტატიის თემატიკის არჩევა.

ჟურნალში შესაძლოა გამოქვეყნდეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით ჩატარებული კვლევები.

4. სტატიის ენა.

სტატიის ენა უნდა იყოს ქართული. დასაშვებია ანოტაციის ორ ენაზე - ქართულად და ინგლისურად მომზადება.

5. სამეცნიერო სტატიის სტრუქტურა.

ათასწლეულის სამეცნიერო ჟურნალში გამოსაქვეყნებელი სტატია უნდა შედგებოდეს შემდეგი ნაწილებისაგან:

- ანოტაცია;
- შესავალი;
- კვლევის მიზანი;
- მასალა და მეთოდიკა;
- მიღებული შედეგები;
- დასკვნა;

- განხილვა;
- გამოყენებული ლიტერატურა;

ანოტაცია: ასახული უნდა იყოს თემის აქტუალობა, სიახლე, კვლევის საგანი და ძირითადი შედეგები.

შესავალი: ეს ნაწილი უნდა ასახავდეს საკვლევი საგნის შინაარსს, თემის აქტუალობას და ლიტერატურის მიმოხილვას.

კვლევის მიზანი: ამ ნაწილში მოკლედ და მკაფიოდ უნდა იყოს წარმოდგენილი კვლევის მიზანი.

მასალა და მეთოდიკა: უნდა ასახავდეს კვლევისათვის გამოყენებულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და მეთოდებს.

მიღებული შედეგები: ეს ნაწილი უნდა წარმოადგენდეს კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებს. სასურველია შეიცავდეს ცხრილებს და მიღებული მონაცემების საფუძველზე აგებულ დიაგრამებს ან სხვა ვიზუალურ მასალას.

დასკვნა: მოკლედ და მკაფიოდ უნდა ასახავდეს კვლევის შედეგების საფუძველზე გაკეთებულ დასკვნას.

განხილვა: ამ ნაწილში წარმოდგენილი უნდა იყოს კვლევის შედეგების შესახებ მსჯელობა.

გამოყენებული ლიტერატურა: უნდა ასახავდეს კვლევაში და სტატიის მომზადებაში გამოყენებული ლიტერატურის (წიგნი, სტატია, ვებგვერდი და სხვ.) ნუსხას APA ფორმატში. ციტირებული ლიტერატურის ჩამონათვალი უნდა იყოს დანომრილი და ნუმერაცია უნდა შეესაბამებოდეს ნაშრომში შესაბამისი ინფორმაციის თანმიმდევრობას. სტატიის შიგთავსის ციტირებულ ლიტერატურასთან დასაკავშირებლად გამოიყენეთ კვადრატულ ფრჩხილში ჩაწერილი ციფრები.

სტატიის სათაურს ქვემოთ, მარცხენა მხარეს, ნაშრომს უნდა დაერთოს ავტორის (ან ავტორების) სახელი, გვარი და საკონტაქტო ელ. ფოსტა ფრჩხილებში. ავტორების სიის ქვემოთ დახრილი შრიფტით (ზომა - 10) მითითებული უნდა იყოს ინფორმაცია თითოეული ავტორის სკოლისა და მიმდინარე სასწავლო საფეხურის (კლასი) შესახებ.

მაგ.: *ათასწლეულის სკოლა, IX კლასი.*

სტატიაში წარმოდგენილი ყველა ვიზუალური მასალა (სურათი, ცხრილი) უნდა იყოს დანომრილი მუქი შრიფტით (Bold) და შესაძლოა ახლდეს მოკლე აღწერა დახრილი შრიფტით (Italic).

მაგ.: **ცხრილი 1.** *სისხლის გგუფების გადანაწილება კავკასიის ზოგიერთ ქვეყნებში.*

6. ტექსტის დაკაზმადონების წესი.

- 1) სტატიის ტექსტი აკრეფილი უნდა იყოს A4 ზომის სტანდარტულ ფურცელზე;
- 2) შრიფტის სახე - Sylfaen;
- 3) სტატიის სათაურის შრიფტის ზომა - 14;
- 4) სტატიის ქვესათაურების (ანოტაცია, შესავალი და სხვ.) შრიფტის ზომა - 12;
- 5) სათაურები და ქვესათაურები უნდა იყოს გამუქებული (Bold);
- 6) ტექსტის შრიფტის ზომა - 12;
- 7) სურათის/ცხრილის ნომრისა და აღწერის შრიფტის ზომა - 10;
- 8) სტრიქონებს შორის მანძილი - 1.25 ინტერვალი;
- 9) ფურცლის გვერდზე ტექსტის მინდორი: მარცხნიდან - 2.5 სმ, მარჯვნიდან - 2.5 სმ, ზემოდან - 2.5 სმ, ქვემოდან - 2 სმ;
- 10) აბზაცის პირველი ხაზის დაშორება - 0.8;
- 11) ნაშრომის მოცულობა შესაძლებელია მერყეობდეს - არაუმეტეს 50 გვ. და არანაკლებ 3 გვ.

7. პლაგიატი.

ნაშრომში სხვათა მოსაზრებების, ფრაზებისა და წინადადებების გამოყენებას არასათანადო წესებით (ლიტერატურული წყაროს მითითების გარეშე) ეწოდება პლაგიატი.

სტატიაში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში ნაშრომი არ განიხილება ჟურნალში გამოსაქვეყნებლად.

8. სტატიის სარედაქციო საბჭოსთვის გადაგზავნა და გამოქვეყნება.

ზემოთ ჩამოთვლილი წესების მიხედვით მომზადებული სტატია Microsoft word დოკუმენტის ფორმატში უნდა გადაეგზავნოს სარედაქციო საბჭოს ხელმძღვანელს მეილზე: g.nebieridze@millennium-school.org

სტატიის გადაგზავნა ხდება ნაშრომის ერთ-ერთი თანაავტორის მიერ რომელიც სტატიის გამოქვეყნებამდე ან გამოქვეყნებაზე უარის თქმამდე ვალდებული იქნება მუდმივად შეამოწმოს ელ. ფოსტა და პასუხი გასცეს სარედაქციო საბჭოს მიერ დასმულ კითხვებს.

სტატიის გადმოგზავნის შემდგომ ავტორი მიიღებს დასტურის მეილს და დაიწყება ნაშრომის განხილვა სარედაქციო საბჭოს მიერ. განხილვის დასრულებისთანავე ავტორი მიიღებს პასუხს როგორც დასტურის, ისე უარყოფის შემთხვევაში.

დასტურის შემთხვევაში სტატიის გამოქვეყნება მოხდება ჟურნალის მიმდინარე ან მომდევნო სემესტრის ნომერში.